

Nestan Kutivadze

ნესტან კუტივაძე

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Artistic Reception of Soviet Repressions in the Émigré Publication

„The Homeland“ – „La Patria“

(1951-1953)

საბჭოთა რეპრესიების მხატვრული რეცეფცია ემიგრანტულ

გამოცემა მამულში – „La Patria“

(1951-1953)

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10925>

“The Homeland” – “La Patria” – a Georgian émigré periodical based in Buenos Aires was published under the editorship of Viktor Nozadze. The magazine clearly demonstrates the spirit of Georgian émigrés in the first half of the 20th century and their dedication to serving their homeland. The works published under the pseudonym of Mikhako Tbiliseli depict the Bolshevik terror of the 1920s and 1930s, exposing their ruthless and brutal nature. His memoirs vividly reconstruct the grim reality of Cheka dungeons and the tragic fate of those sent into exile – sometimes using their real names to enhance the authenticity of these events.

Keywords: Soviet Repressions, Artistic Reception, Bolshevik terror, Georgian communities

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა რეპრესიები, მხატვრული რეცეფცია, ბოლშევიკური ტერორი, ქართული სათვისტომო

მამული – “La Patria” – ქართველ ემიგრანტთა პერიოდული ორგანო არგენტინაში, ბუენოს-აირესში, 1951-1953 წლებში გამოიცემოდა ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით. ჟურნალი წარმოადგენს მშობლიური ისტორიის, მწერლობისა და კულტურის კრებულს, რომელიც ზედმიწევნით აჩვენებს XX საუკუნის I ნახევრის ქართული ემიგრაციის სულიკვეთებასა და მისწრაფებას, დევნილობაში მყოფებმა გაუწიონ სამსახური საკუთარ სამშობლოს. უპირველეს ყოვლისა, ამაზე მეტყველებს საქართველოს ისტორიის შესახებ დასტამბული წერილები. ეს პუბლიკაციები მოიცავს, ერთი მხრივ, საქართველოს სწრაფვას ევროპისაკენ და ქართველ მეფეთა ძალისხმევას ამ თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, აანალიზებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიულ, იურიდიულ, დიპლომატიურ ასპექტებსა და ამის საფუძველზე გამოკვეთს, რომ რუსეთმა საქართველო დაიპყრო, როგორც მის მიერვე აღიარებული დამოუკიდებელი სამეფო პირველად 1801 წელს, ხოლო მეორედ 1921 წელს, ასევე, საქართველოს რესპუბლიკის ცნობის შემდეგ. ამ ნარკვევების ავტორები იყვნენ: ვიქტორ ნოზაძე, აკაკი და თამარ პაპაევები, სანდრო ნებლო (ალექსანდრე პაპუაშვილი) და სხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მკვლევრები. ამასთან ერთად, „მამული“ შთამბეჭდავად ასახავს 1950-იანი წლების ამერიკასა თუ ევროპაში განფენილი ქართული ემიგრაციის, ქართული

სათვისტომობის ცხოვრებას, მათ კულტურულ საქმიანობას, ეხმაურება ისტორიულ თარიღებსა და მნიშვნელოვან ფაქტებს, აქვეყნებს ინფორმაციას არგენტინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ჟურნალი ისტორიულ წერილებთან, კულტურულ ქრონიკებსა და ინფორმაციული ხასიათის მასალასთან ერთად ბეჭდავდა მხატვრულ ტექსტებსაც. გიორგი გამყრელიძის, აკაკი პაპავას, ევტიხი აბულაძისა და სხვა ავტორების პოეტურ ნაწარმოებებს, ასევე, პროზაულ თხზულებებს, რომელთაგან უნდა გამოიყოს მიხაკო თბილისელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული მოთხრობები. ამ ეტაპზე გაურკვეველი რჩება ავტორმა თავად გააღწია ქვეყნიდან (შესაძლოა მეორე მსოფლიო ომის დროს), თუ ხელნაწერი აღმოჩნდა ჟურნალის მესვეურებთან, შესაბამისად დაუდგენელია ვინაობაც.

მიხაკო თბილისელის თხზულებებში რეპრეზენტირებულია ბოლშევიკური ტერორი, 1920-30-იანი წლების საბჭოთა რეპრესიები, მისი დაუნდობელი და ველური ხასიათი. მოგონებებში ძალზე კონკრეტულად, რეალური გვარებით აღდგება „ჩეკას“ (საქართველოს საგანგებო კომისია) ჯურღმულებში არსებული უმძიმესი ვითარება, გადასახლებაში მყოფი ადამიანების ტრაგიკული ხვედრი.

ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა კავშირს მიხაკო თბილისელი სარკაზმით „საბჭოთა სამოთხეს“ უწოდებს, რაც პირდაპირი მნიშვნელობითაც კი ტოტალიტარიზმის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან „მოდელი იმ გაგებით, რომ ვიღაც გიწესებს, რა არის ჭეშმარიტება, და ამით მიყავხარ ბედნიერებისკენ ტოტალიტარულია“ (გიგინეიშვილი, 2009, გვ. 3-4).

საბჭოთა წარსულის გასაახრებლად მიხაკო თბილისელის თხზულებები უდავოდ მნიშვნელოვანი ტექსტებია, მით უფრო ციხის ნარატივის რეპრეზენტირების თვალსაზრისით. „მამულმა“ სულ აღნიშნული ავტორის სამი ნაწარმოები გამოაქვეყნა. ესენია მოთხრობები: „დიდი კაცი“ („მამული“, N2, 1951), „გეურქას ამბავი“ („მამული“, N3, 1951) და „საკანი ნომერი 19“ („მამული“, N4, 1951; N5, 1952; N6, 1953), რომელიც საბჭოთა სადამსჯელო მანქანა გამოვლილი ადამიანის მოგონებების სახითაა დაწერილი.

მ. თბილისელი მოთხრობა „დიდი კაცსაც“ („მამული“, N2, 1951) ნამდვილ ამბავს უწოდებს. მასში რეალური პერსონაჟებია ასახული. მართალია, თხზულება დათარიღებული არაა, მაგრამ კონკრეტული თარიღი უზის ტექსტში აღწერილ ტრაგიკულ ამბავს. სავარაუდოა, რომ ავტორი არ ცვლის იმ ადამიანთა გვარებსა და სახელებს, ვისაც ეს ამბავი გადახდათ, მეტიც, როდესაც გარკვეულ პირებს ახსენებს, ფრჩხილებში უთითებს, მაშინ დახვრეტილი არ იყო ან შემდეგ ესეც დახვრიტესო. ტექსტში აღწერილი ამბავი შეეხება ორ ოჯახს – ალექსანდრე გარაყანიძესა და სანდრო ზაალიშვილს, რომელთა შვილები (ნინო ზაალიშვილი და კოტე გარაყანიძე) დაქორწინდნენ. ამბის თხრობა ავტორის რემარკებით წარმართება. სწორედ ეს რემარკები და ჩართული ფრაზები ადასტურებს ტექსტში მოხსენიებულ პიროვნებათა ნამდვილობას. „ერთ დღეს, 1927 წლის აპრილის თვის მიწურულში, კოტე გარაყანიძე ამიერკავკასიის რკინისგზის უფროსმა, პაპულია ორჯონიკიძემ გამოიძახა (სერგო ორჯონიკიძის ძმა იყო. მასვე ისევე აღმოუჩინეს დახმარება, როგორც სერგოს და უვადო შვებულებაში გაუშვეს: საიქიოს!), – ირონიზირებს ავტორი და აგრძელებს, პაპულიას კაბინეტში იყო კიდევ რკინისგზის სახელოსნოების უფროსი ბაგრატ არუთინოვი და სატრანსპორტო ჩეკის უფროსი იაკობიძე (ისიც დახვრეტილი განისვენებს საბურთალოზე!“) (თბილისელი, 1951ა, გვ. 59); მრავლისმთქმელი პასაჟია შემდეგი ეპიზოდიც: „კარგი სასაუბრო საჭმელები გაუმზადა მათ უმცროსი შვილის ნათლიამ, ილუშა ნოზაძემ (დახვრეტილია!), რომელიც იმ დროს რკინის გზის სატრანსპორტო კოოპერაციის გამგე იყო...“ (თბილისელი, 1951ა, გვ. 59), – ამგვარად ავტორმა ამბის დასაწყისიდანვე აჩვენა, რომ მის მიერ გადმოცემული ისტორია ძალზე კონკრეტული თავგადასავალია, სისასტიკე და დაუნდობელ დროში რომ გადახდათ მოთხრობის გმირებს თავს.

ტექსტის მიხედვით, რკინისგზის სახელოსნოების უფროსად დაწინაურებული კოტე გარაყანიძე გახდა „დიდი კაცი“, რაც მისი გაუმედურებისა და მთელი მისი ოჯახის დაღუპვის მიზეზად იქცა. აქ ერთი საგულისხმო ნიუანსია. რეალურად დაწინაურების აღსანიშნავი წვეულების გამართვის თარიღი – 26 მაისი გახდა ოჯახზე ანგარიშსწორების მიზეზი. 26 მაისი კი, ყოველგვარი ფარული ჩანაფიქრის გარეშე, მხოლოდ იმიტომ შეარჩიეს, რომ ჯანდიერის ორივე შვილი ამ დღეს იყო

დაბადებული. მრავლისმთქმელია, რომ სწორედ იმ ადამიანმა (იაკობიძემ), რომელმაც ცოტა ხნის წინ სახელოსნოების უფროსობა დაავალა, გასცა კოტეს ბინის გაჩხრეკისა და დაპატიმრების ორდერი. მასთან ერთად დააპატიმრეს მისი სიმამრიც – სანდრო ზაალიშვილი იმ საბაბით, რომ მათ 26 მაისი, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს წვეულებით, ზაალიშვილს ჯიბეში პროკლამაციაც კი „უპოვეს“.

ჩეკისტების წამების მიუხედავად, სანდრომ და კოტემ არ აღიარეს ჩაუდენელი დანაშაული და ორივე დახვრიტეს. ამ ამბიდან ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა კოტეს მეუღლე ნინოც. ასე დასრულდა ერთი წესიერი და ღირსებით სავსე ოჯახის ისტორია. აქ მნიშვნელოვანია ჯაჭვი, რომელიც კარგად ჩანს. იაკობიძე ჯერ თავად ხდება ჩაუდენელი დანაშაულის „განმსჯელი“ და „სამართლიანობის აღმსრულებელი“, მოგვიანებით კი თავადაც რეპრესიებს ეწირება.

თხზულება მხატვრული თვალსაზრისით არ გამოირჩევა, გაშიშვლებული სახით იმეორებს 1930-იანი წლების რეპრესიების კარგად ნაცნობ მოდელს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდების ნაცლად, აქ 26 მაისის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების დღის, აღნიშვნაა დანაშაულად დასახელებული.

ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებისეული ტრაგედიაა ასახული მოთხრობა „გეურქას ამბავშიც“ („მამული“, N3, 1951), ნაჩვენებია რომ გაუცნობიერებელმა, აბსოლუტურად უწყინარმა შემთხვევამ შესაძლოა დრამატულად შეცვალოს ადამიანის ბედი. ტექსტი, ასევე, დემონსტრირებს სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონების არაჰუმანურ, ზოგჯერ აბსურდულ ხასიათს, თუმცა ამგვარ კანონებზე ხდება დამოკიდებული პიროვნების ბედი, მით უფრო, რომ, როგორც ავტორი აღნიშნავს, „აღმასკომის თანამშრომელნი მეტის მეტი სიხარულით და დიდი ენთუზიაზმით ეგებებიან მთავრობის მიერ მიღებულ ახალ კანონს“ (თბილისელი, 1951ბ, გვ. 89). მთავრობის მიერ გამოცემული ახალი „პრიკაზის“ მიხედვით კი, სამსახურში დაგვიანება სისხლის სამართლის დანაშაულადაა მიჩნეული. ამ პასაჟით ავტორი მაშინდელი ყოფის შემზარავ სიციარიელესა და სულიერ დაკნინებას, შინაარსისაგან დაცლილ კანონზე დაფუძნებული წესრიგის საშიშროებას გამოხატავს.

გეურქა ბააზოვი, მთავარი გმირი, ჯერ საკუთარი პატარა დუქნით ირჩენდა თავს, ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ კი რამდენიმე წელს მესაფლავედ იმუშავა, ბოლოს მეგობარ მესაფლავე პავლეს ნაყაჩადარი შვილის, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის კარისკაცი გახდა. თავის მხრივ, თავმჯდომარის ბიოგრაფია თავად ამ სახელმწიფოს, სამართლებრივი თვალსაზრისით, ხასიათის ნათელ სურათს ქმნის. სამსახურში დაგვიანების გამო ბააზოვს სამეულმა სამი წლით მიუსაჯა პატიმრობა საკონცენტრაციო ბანაკში გადასახლებით, თანაც იმ სახით, რომ განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. დაგვიანება, თხზულების მიხედვით, მხოლოდ საბაბია, რეალური მიზეზი არცთუ ისე მნიშვნელოვანი პიროვნების ვერცნობაა. ასეთი, თავისთავად ტრივიალური ფაქტის გამო გაუყენეს ერთი მშრომელი, ჩვეულებრივი ადამიანი ტაშკენტის გზას, საიდანაც ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა.

ამ ტიპის ტექსტები, რომლებიც დოკუმენტური პროზისთვის დამახასიათებელ არაერთ ნიმუშს ატარებს, ფასეული, უპირველესყოვლისა იმითაა, რომ საბჭოთა ანტიჰუმანიზმისა და უაზრობამდე მისულ სისასტიკეს აჩვენებს, აცოცხლებს მგრძნობელობას ამგვარი ეპოქების მიმართ, რომ მეხსიერებას შემორჩენილი შემზარავი ფაქტები დაუვიწყარ გამოცდილებად იქცეს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ეს თხზულებები, მართალია უცხოეთში, მაგრამ ჯერ კიდევ სტალინის ეპოქაში ქვეყნდება.

მიხაკო თბილისელის პუბლიკაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „საკანი N19“, რომელიც „მამულის“ რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდა („მამული“, N4, 1951; N5, 1952; N6, 1953). ტექსტში რეპრესირებული ადამიანის მძიმე თავგადასავალია მოთხრობილი, გაცოცხლებულია მთელი პროცესის თითქმის ყველა დეტალი და ეტაპი. აქვე მინიშნებულია, რომ კრებული მას შემოკლებით ბეჭდავს და ავტორს განზრახული აქვს მოგონებების ცალკე წიგნად გამოცემა.

მოგონებები ასახავს 1920-1930-იანი წლების საბჭოთა კავშირის სოციალ-ეკონომიკური ვითარების ზოგად სურათსაც. ტექსტში საუბარია ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვები პროდუქტების დეფიციტის შესახებ, როგორებიცაა: პური, შაქარი, საპონი, რომელთა შესაძენად ხე-

ლისუფლება კერძო დუქნებს ხსნიდა მაღალი ფასებით. როდესაც ხალხი ვედარ იძენდა ამ პროდუქციას, კეტავდა ან ამცირებდა მათ რაოდენობას. „ხალხი ამას უწოდებს: „მუშათა და გლეხთა რიგით მოწველას“, ხოლო ხელისუფლება – „მობილიზაცია ვენტურენის რესურსოვ“ (თბილისელი, 1952, გვ. 143-144), – ნათვამია მოგონებებში. ვერც ერთი ისტორიული დოკუმენტი ასე ხელშესახებად ვერ ინახავს დროის სულისკვეთებას, როგორც ამ ტიპის ჩანაწერები, რისი დასტური ეს პუბლიკაციაცაა.

ტოტალიტარიზმის დაუნდობელ ხასიათს აჩვენებს ჩამონათვალიც იმ ბრალდებებისა, რომლებსთვისაც უსასტიკესად ისჯებოდნენ ადამიანები. ეს შეიძლება ყოფილიყო ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ისეთი საგნები და მოვლენები, როგორებიცაა: სამშობლოს სადღეგრძელო, სეტყვის გამო ნაკლები მოსავლის მიღება, ნოსტალგია მეფის რუსეთზე, პროფესორის მიერ კომკავშირელისათვის უცოდინარობის გამო დაბალი შეფასების დაწერა და ა. შ.

მიხაკო თბილისელის „მოგონებებში“ აღწერილია ტანჯვისა და წამების მთელი პროცესი, რომლის შედეგად ადამიანები არა მხოლოდ საკუთარ არარსებულ დანაშაულს (მაგალითად, კოლექტივიზაციის საწინააღმდეგო აგიტაცია) აღიარებდნენ, არამედ ხშირად მავნებელთა მთელ სიაზე აწერდნენ ხელს.

საგულისხმოა, რომ ასეთ ვითარებაშიც არსებობდა გარეთ დარჩენილებისათვის ხმის მიწვდენის შესაძლებლობა, რომლის შესახებაც საუბარია ტექსტში, გადმოცემულია როგორ ახერხებდნენ პატიმრები საიდუმლო ბარათების გამოგზავნას ოჯახებში, რას განიცდიდნენ გარეთ მყოფი მათი ახლობლები, არანაკლებ მნიშვნელოვანია პატიმართა შედგენილი და მათ მიერვე საკნების, საპირფარეოებისა თუ დერეფნების კედლებზე მიწერილი ფრაზები, მაგ.: „კტო ნე ბილ, ტოტ ბუდეტ! კტო ბილ, ნე ზაბუდეტ!“ (თბილისელი, 1952, გვ. 147), ასევე, ამოკაწრული იყო პატიმართა გვარები, რამდენ ხანს ისხდნენ, ვის დახვრეტა და ვის რამდენი წელი მიუსაჯეს.

ციხის საკნებში „კომანდით ძილის“ უცნაური წესის გარდა, რომელიც წამების აშკარა ფორმაა, თბილისელის მოგონებები ინახავს პატიმართა სოლიდარობის ამსახველ ფაქტებს. სხვისი გამხნევება მაშინ, როდესაც თავადაც არ იცი, რა მოგელის, მარტივი არ იქნებოდა, მაგრამ ადამიანად დარჩენის შესაძლებლობას ნამდვილად მისცემდათ პატიმრებს. მიძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ტექსტის ის ეპიზოდები, რომლებშიც აღწერილია დაპატიმრებულთა სულიერი მდგომარეობა, განცდები, პატიმართა დასახვრეტად გაყვანას რომ ახლავს თან. შემზარავი და მრავლისმთქმელია 19 წლის ბიჭის პატიმრობის ისტორია და მისი ჭკუიდან შემლა, როგორც ამ ყველაფრის შედეგი. ასევე, ნიშანდობლივია 21 წლის მუნჯი მხატვრის შემთხვევა. ის ბათუმში, ზღვის სანაპიროზე, საბჭოთა კავშირის გემის ხატვისას დააკავეს, არსებული ხელისუფლების დამხობისა და სამშობლოს ღალატის მუხლით და სთხოვდნენ, ეღიარებინა, რომელი სახელმწიფოსგან ჰქონდა დავალებული გემის დახატვა (თბილისელი, 1953, გვ. 185). ეს ერთი კონკრეტული მაგალითიც კი სავსებით საკმარისია იმის საჩვენებლად, როგორ ართმევს ტოტალიტარიზმი ადამიანს ყველაზე მთავარს - თავისუფლებას, ახდენს პიროვნების ნიველირებას, აუქმებს ყოველივეს, რაც ინდივიდს პიროვნებად აქცევს, უპირველეს ყოვლისა კი აზროვნებას, აკონტროლებს მის ნებას მაშინაც კი, როდესაც არ ეწინააღმდეგებიან.

„მოგონებები“ ინახავს თანამედროვეთა დამოკიდებულებას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ირკვევა, რომ ახლად აშენებულ შვიდსართულიან შინსახკომის შენობას თავზარდამცემი გავლენა ჰქონდა, შემინებული გამვლელები გვერდს უვლიდნენ ისე, რომ არც უყურებდნენ. „ბევრს ჯერ არც შეუხედავსო“ (თბილისელი, 1952, გვ. 146), – თითქოს ძალიან უბრალო პასაჟია, მაგრამ ზედმიწევნით გადმოცემს ქვეყანაში გამეფებულ შიშს. „საბჭოთა კავშირის ამ „უნივერსიტეტში“ ყოველგვარი წინასწარი გამოცდის გარეშე შედის ამ „სამოთხეში“ მაცხოვრებელი ყოფილი მოქალაქე“ (თბილისელი, 1952, გვ. 146). ეს სარკაზმიც ზედმიწევნით აირეკლავს იმ ფარსს, რომლითაც მთელი საბჭოთა ისტორიაა გაჟღერებული.

საგულისხმოა, რომ მოგონებების ავტორი ეძებს საზოგადოების დეჰუმანიზაციის მიზეზს, რასაც ის ღვთის რწმენის დანგრევაში ხედავს. მისი აზრით, ღმერთის უარყოფით ადამიანებმა სიყვარული, თანაგრძნობა ჩაკლეს საკუთარ თავში და „განა ძნელი წარმოსადგენია, რომ წყალი არ მოგაწოდოს ადამიანმა, რომელსაც ურჯულოების უმაღლესი სკოლა აქვს დამთავრებული?“ (თბილი-

სელი, 1953, გვ. 185). ასე ხსნის ავტორი მაშინდელი მაღალი თანამდებობის მქონე პარტიული მუშაკებისა თუ რიგითების მიერ ჩადენილ სისასტიკეს, რის შესახებაც ჰყვება, როგორც თვითმხილველი.

მოგონებებში აქცენტირებულია საბჭოთა ეპოქის კიდევ ერთი საგულისხმო ასპექტი – რეალობის შელამაზებულად წარმოჩენა. „საბჭოთა კავშირმა დაჰგმო რუსეთის თვითმპყრობელობის კანონი, აუარებელი ციხე დაიკეტა და მუზეუმებად გადაიქცა! – ყვიროდნენ კომუნისტები და გაზეთები სავსე იყო წერილებით. მოსდეს მთელი დედამიწის ზურგს ამბავი, რომ „ქალაქ თბილისში ისტორიული მეტეხი დაკეტეს და მუზეუმად გადააქციეს“! ხოლო მის მაგიერ, რომ ორი ვეებერთელა ციხე ააშენეს, ამაზე გატრუნვილი იყვნენ“ (თბილისელი, 1953, გვ. 189), – ამბობს მიხაკო თბილისელი. ესეც გაყალბებული საბჭოთა სინამდვილის კიდევ ერთი გამოძახილი იყო.

„მოგონებების“ მიხედვით, ირკვევა, რომ ავტორი ტროცკისტულ საქმიანობაში დადანაშაულებული დიდი ჯგუფის ერთ-ერთი წევრად მიიჩნის, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თავად აღნიშნავდა, არც ერთს არასდროს შეხვედრია. ამ ბრალდების გამო მოგონებების ავტორი ორთაჭალის ციხეში გადაიყვანეს, სადაც ის უკვე პარტიულ ფუნქციონერებთან ერთად იყო შედარებით უკეთეს პირობებში. დოკუმენტს ხელს აწერდა „ბათუმის კურტნიანი მუშა, დღეს საქართველოს შინსახკომის მოადგილე დათიკო კილაძე“ (თბილისელი, 1952, გვ. 148). ეს უკანასკნელი თავადაც დახვრიტეს 1937 წელს ტროცკისტობის ბრალდებით (იხ. თუმურაშვილი ..., 2013, გვ. 52-53).

ნიშანდობლივია ამბავი, რომლის გამოც თბილისელი, როგორც თავად აღნიშნავს, ას თექვსმეტ დაპატიმრებულს შორის აღმოჩნდა. ერთხელ მასთან უცნობი ახალგაზრდა მივიდა და დახმარება სთხოვა, რადგან უმუშევრად იყო დარჩენილი. მანაც 300 მანეთი ასესხა, რაც მალევე გადაიქცა ტროცკისტული ჯგუფის ფინანსურ დახმარებად.

ავტორი ტექსტში საკმაოდ ლაკონურად გადმოსცემს საკუთარ განცდებს, აჩვენებს როგორ აცნობიერებს და ამარცხებს სიკვდილის შიშს. „ამას შემდეგ თერთმეტი დღე დაეყავ საკანში. ამ ხნის განმავლობაში, სამჯერ გაიყვანეს პატიმრები დასახვრეტად. დავდნი. ჩემს სხეულს მარტო ტყავი და ფარავდა. ყველა ისევე, როგორც მე თვითონ, ჩემს გაყვანას ელოდებოდა. ათასგვარი აზრი მემლება თვალ წინ... ყველაფერი მოვამზადე. გადაწყვეტილი მაქვს თავი ჩამოვიხრჩო ზეწრით. (...) მეორე აზრიც დამებადა. მოვხსნა როგორმე ელექტრონის ლამფა, გავტეხო და მისი შუშით ან თითბერით, ხელის მთავარი ძარღვი გადავიჭრა. (...) სრულებით არ მეშინია. მე მინდა ზარგინავა (ვისაც დასახვრეტად გაჰყავს პატიმრები – ნ.კ.) დავსტოვო პირდაღებული და ჩემს სხეულზე არ გადავატარო, – თორემ სიკვდილი ხომ ერთია!“ (თბილისელი, 1953, გვ. 190) – წერს მიხაკო თბილისელი. ამ ვრცელი ციტაციით მისი სულიერი სიმტკიცე მკაფიოდ ვლინდება, ამასთან პიროვნული უპირატესობის ჩვენების დიდი სურვილითაც არის გაჟღენთილი, რაც ძალზე დამაჯერებლად გამოიყურება, თუნდაც იმ შიშის ჩვენებით, თავიდან რომ ეუფლება სიკვდილმისჯილს. უნდა ითქვას, რომ ავტორის მიერ სიკვდილის შიშის გადალახვა შესაძლოა აღიქმებოდეს ლიბინალობის ფაზის დამლევის მხატვრულ რეპრეზენტაციად. ტრანზიციის სიკვდილის შიშისა და ამ შიშის დამლევას შორის გამოკვეთს გმირის მტკიცე ხასიათს, თავად ამ პროცესის ცხადი ფიზიკური გამოვლინების ფონზე.

აღმოჩნდა, რომ განაჩენი სისრულეში არ მოიყვანეს, რადგან მოსკოვიდან მოვლინებულმა პროკურორმა კატანიანმა თავიდან შეისწავლა საქმე, ორკვირიანი საჩვენებელი პროცესი გამართეს, რომლის შედეგად ოთხმოცდათექვსმეტ კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ოცს კი 10 წლით გადასახლება. მაშინდელი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე კალინინთან გაგზავნილი წერილის შედეგად კი კიდევ ოთხს შეუცვალეს დახვრეტა გადასახლებით. მათ შორის აღმოჩნდა თბილისელიც. „თუ ვინმეს თვით არ გამოუცდია, ისე წარმოუდგენელია, თუ რა ძნელი გადასატანია ამ სასიკვდილო საკანში ყოფნა... იმ ღამეს არავის სძინებია... ყველა იატაკზე ვისხედით... ისეთი სიჩუმე სუფევდა, თითქო აქ არავინ იმყოფებო... ყველას ენა წაერთვა... ან რალა იყო სალაპარაკო...“ (თბილისელი, 1953, გვ. 191), – რაც საგულისხმო ფსიქოლოგიური დეტალია. მოულოდნელი და თითქმის დაუჯერებელი ამბის გამო დადუმება.

ამის შემდეგ ტექსტში უკვე გადასახლების პროცესი და ტაშკენტის, უფრო ზუსტად, „ზერავშანის“ საკონცენტრაციო პირობებია აღწერილი, რომელიც არანაკლებ მძიმეა. ბანაკის სახელწოდება

რუსულად „დალინა სმერტის“ (სიკვდილის ხეობა) ნიშნავდა, რაც იქ გამწესებულთა საბედისწერო აღსასრულს ასახავდა. ნიშნადობლივია, რომ სასიკვდილო აღსასრულთანაა დაკავშირებული ყოფილი საბჭოთა კავშირის გრანდიოზული მშენებლობები, შენიშნავს, რომ არხ მოსკვა-ვოლგას ხალხი „კროვ ნაროდას“ უწოდებდა (თბილისელი, 1953, გვ. 192), რადგან პატიმრების უმრავლესობა დაიღუპა ამ უკანასკნელის მშენებლობაზე. ასეთი მეტსახელი ძალიან ლაკონურად ახასიათებს საბჭოთა აღმშენებლობის რეალურ ფასს.

საგულისხმოა, რომ მოგონებების ავტორი ძალზე კონკრეტულ მინიშნებებს აკეთებს. ის საუბრობს ატმოსფეროზე, რომელიც 1937-1938 წლებში დიდი ტერორის დროს არსებობდა, როდესაც დასახვრეტა დიდი სიები დგებოდა (ე. წ. სტალინის სიები), როდესაც ყოველგვარი ბრალდების გარეშე ხვრეტდნენ ადამიანებს. საკანში ახლად შესახლებულ ნაცნობი ახალ, შემზარავ ამბებს ატყობინებს. „საქართველოს კომპარტიის ცეკაში დიდი კინკლაობა ყოფილა. დაბეზლება დაბეზლებაზე მიდის მოსკოვში. ასევეა სახკომსაბჭოშიც. მამულია, მელამე, სუხიშვილი, გერმანე მგალობლიშვილი, ორახელაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, ერქომაიშვილი, პეტრე აღნიაშვილი, ელიავა, მიხა, ფილიპე, ყურულოვი, თოდრია, ბუდუ, ოდილავაძე, ტიტე ლორთქიფანიძე, შავერდოვი, წითლაძე... ყველა ამათი და სხვა აუარებელი პარტიული და სხვა ტრესტების და სამმართველოების დირექტორების საქმე ძაფზე ჰკიდიაო. თენგიზ ჟღენტს, გვაზავს, იაშვილს და ბათუმის ოლქის კომიტეტის მდივანს გეორგიევს თვითმკვლელობით გაუთავებიათ თავისი კარიერა (თბილისელი, 1953, გვ. 188), – წერს მიხაკო თბილისელი. ამ ეპიზოდში რამდენიმე ძალზე ცნობილი გვარია, რომელთა ბედი პირდაპირ დაუკავშირდა სტალინის „დიდ ტერორს“. ზოგიერთი მათგანი თავად იყო ჯალათი, თუმცა საბოლოოდ მსხვერპლიც თავად აღმოჩნდა (იხ. მამულია, 2025).

მ. თბილისელის აღნიშნული ტექსტი აღწერს ავტორის გადაბირების მცდელობას და, შესაბამისად, გადაბირების მთელ მექანიზმს. სიცოცხლის სანაცვლოდ, როგორც უდანაშაულო ადამიანისათვის გამოჩენილ წყალობას, ისე სთავაზობდნენ მუშაობას „საქართველოს შინსახკომის საიდუმლო თანამშრომლად“, რომელსაც ევალეზოდა კონკრეტული მოქალაქეებისათვის თვალის დევნება. მრავლისმთქმელია, რომ ამ მეთვალყურეობაში შედიოდა თეატრსა და კინოში სიარული და მსახიობებისა თუ მაყურებლის რეაქციასა და ფრაზებზე დაკვირვება, პურისა და ნავთის რიგებში, ტრამვაის გაჩერებებსა და სხვა ადგილებში საუბრისათვის ყურის გდება. შემზრავია, როდესაც ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდად მოწაფებთან დაახლოება და ამ გზით მათგან მშობლებისა თუ მასწავლებლების შეხედულების გარკვევა. კიდევ უფრო ამაზრზენია შეკითხვა – „სიკვდილს ხომ ეს სჯობია?“ (თბილისელი, 1953, გვ. 188).

ტექსტიდან ნათელია, რომ მიხაკო თბილისელი არ აღმოჩნდა მშიშარა ადამიანი. მან არც დანაშაული აღიარა და არც ჯაშუშობას დასთანხმდა თავისუფლების სანაცვლოდ „შეიძლება ჯობია, მაგრამ მე მაინც სიკვდილს ვარჩევ. დეე, ჩემს შვილებს დახვრეტილი მამა ჰყავდეთ, ვიდრე მამა ჯაშუში! (თბილისელი, 1953, გვ. 188),– ეს პასუხიც მისი მორალური სიმტკიცის მკაფიო მაგალითია, რაც, თავის მხრივ, ძალზე შთამბეჭდავია და მის ზნეობრივ ღირებულებებზე მეტყველებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პათოსი გამსჭვალავს პაოლო იაშვილის ქალიშვილისათვის დატოვებულ წერილს – „არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფიქრდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი სჯობდა, შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ მე დღეს თავი არ მომეკლა“ (ნიკოლეიშვილი, 1995, გვ. 65).

ტექსტში საგულისხმოა იმითაც, რომ ავტორი ასახელებს ცილისმწამებელს. აღნიშნავს, რომ მისთვის ცნობილია, გ. მახარაძემ (საქართველოს კომკავშირის ჯერ საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ხოლო შემდეგ ამავე განყოფილების მდივანი, რომელიც თავადაც დაპატიმრებული იყო (თბილისელი, 1953, გვ. 186) ვისი კარნახით და რატომ დასდო ბრალი ას თექსტმეტ აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანს, რომელთაც არასდროს ჰქონიათ რამე კავშირი არც ტროცკისა და არც ლენინის პარტიასთან, თუმცა ამ პუბლიკაციაში ამ თემაზე აღარაფერია ნათქვამი. შესაძლოა იმის გამოც, რომ ტექსტი შემოკლებითაა დაბეჭდილი.

საბოლოოდ, მ. თბილისელმა 6 წელი და 9 თვე დაჰყო გადასახლებაში, დანარჩენი ვადა, როგორც აღნიშნავს, „მუშაობაში ჩაუთვალეს“ და 1939 წელს დაბრუნდა საქართველოში ოღონდ თბი-

ლისში, ქუთაისსა და ბათუმში ცხოვრების აკრძალვით. „რა დავაშავე? ან რა დააშავეს მათ, რომელნიც ჩემს გვერდით მწოლარე, ხშირად ვეღარ ამდგარან და ბევრის გამოტანა და დასაფლავება მე წილად მრგებია?! ამაზე პასუხს დღეს კიდევ სხვა მილიონები ელოდებიან, რომელნიც საბჭოთა ლაგერებში სულს დაფავეს და „საბჭოთა სამოთხეში“ კი არ ცხოვრობენ, არამედ იტანჯებიან... აი, ის ოქროს მთები, რომელთაც ჰპირდებოდნენ მუშებსა და გლეხებს კომუნისტური პარტიის ბელადები“ (თბილისელი, 1953, გვ. 193),- ამ სიტყვებით სრულდება თხზულება, რომლის მიზანია მკითხველმა სიმართლე იცოდეს იმ დროის ერთ-ერთი გავლენიანი სახელმწიფოს შესახებ.

პუბლიკაციებს საბჭოთა რეპრესიების შესახებ დიდი გავლენა აქვს ტოტალიტარული წარსულის გასააზრებლად. თავის დროზე საბჭოთა სინამდვილის გამოსააშკარავებლად დიდი როლი შეასრულა სოლჟენიცინის „არქიპელაგმა გულაგმა“, რომლის მიზანი იყო „ეჩვენებინა, რომ ეს ბანაკები რაიმე შემთხვევითი პრობლემა კი არ იყო, ან საბჭოთა კავშირის მიერ დაშვებული რაიმე შეცდომა; არამედ ისინი იყო სისტემის შემადგენელი ნაწილი, ასე იყო თავიდანვე და მათში მილიონობით ადამიანმა გამოიარა“ (როგორ გაუქარწყლა ... 2008). თბილისელი თავის მოგონებებში საბჭოთა რეალობის რეკონსტრუქციას ახდენს, ვითარების მთელი სიმძიმის საჩვენებლად აკონკრეტებს საბჭოთა ციხეებში დაღუპული ადამიანების რაოდენობას, ჩამოთვლის დიდ მშენებლობებს, რომლებზეც პატიმრები მუშაობდნენ და მათი დიდი ნაწილი იღუპებოდა, რითაც კარგად დემონსტრირდება ამ ფაქტების მიზანმიმართული ხასიათი.

სტალინიზმის რეფლექსია უდავოდ მნიშვნელოვანია, რადგან, ერთი შეხედვით, ძალზე ლოკალური ამბავი რეალურად უმძიმესი პოლიტიკური პერიპეტეიების ანაბეჭდია. მიხაკო თბილისელის ტექსტებში მოთხრობილი კონკრეტული ისტორიები საბჭოთა ტოტალიტარიზმის რეპრეზენტაციაა. წარსულის ტრამვის დაძლევა პოსტსტალინური, პოსტსაბჭოთა ეპოქის საკმაოდ მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა. მემუარული თხზულებები, მოვლენებისადმი თუნდაც უფრო ძლიერი ემოციური კავშირით, დიდ როლს ასრულებს ამ პროცესში ისევე, როგორც საბჭოთა რეპრესიების შესახებ არსებული სხვა მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტები. ამ საკითხებზე აქცენტებით ისტორიულ რეფლექსიებთან ერთად ჟურნალი მიზანმიმართულად აჩვენებდა საბჭოთა იმპერიის – „საბჭოთა სამოთხის“ – ნამდვილ სახეს, ცდილობდა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიეპყრო დაპყრობილი ქვეყნისაკენ, რომელიც, მათივე რწმენით, მხოლოდ დროს ელოდა, რომ კვლავ დაეწყო ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გიგინეიშვილი, ლ. (2009). საბჭოთა წარსულისა და სტალინიზმის გააზრების პრობლემები, ელრესურსი. მოძიებულია 19.11. 2025.
chromeextension://efaidnbnmnibpcjpcglclefindmkaj/https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/01/6_stalinism_debates_report_ge.pdf
- თბილისელი, მ. (1951ა). დიდი კაცი, *მამული*, 2, 57–61.
- თბილისელი, მ. (1951ბ) გეურქას ამბავი, *მამული*, 3, 89–92.
- თბილისელი, მ. (1952) საკანი ნომერი 19, *მამული*, 5, 143–148.
- თბილისელი, მ. (1953) საკანი ნომერი 19, *მამული*, 6, 184–193.
- თუშურაშვილი, ო., ჯახუა, ი. (2013). *XX საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები*. თბილისი: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი.
- მამულია, გ. (2025) საქართველოს სსრ შინსახკომის საგანგებო სამეული (1937–1938 წწ.). მოძიებულია 19.11.2025.
<https://gfsis.org/wpcontent/uploads/2025/02/%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-GEO-10.pdf>
- ნიკოლეიშვილი, ა. (1995). *პაოლო იაშვილი, ცხოვრება და შემოქმედება*, ქუთაისი, გამომცემლობა საწუთრო. როგორ გაუქარწყლა ილუზიები „არქიპელაგმა გულაგმა“ ევროპელ მემარცხენებს“ (ავვისტო 06, 2008). მოძიებულია 19.11.2025. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1558914.html>

References:

- Gigineishvili, L. (2009). Sabch'ota ts'arsulisa da st'alinizmis gaazrebi p'roblemebi, [Problems of Understanding the Soviet Past and Stalinism]. elresursi. Modziebulia 19.11. 2025.
chromeextension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/01/6_stalinism_debates_report_ge.pdf
- Mamulia, G. (2025) sakartvelos sssr shinsakhh'omis sagangebo sameuli (1937-1938 ts'ts'). [Special Three of the Interior Ministry of the Georgian SSR (1937-1938)]. modziebulia 19.11.2025.
<https://gfsis.org/wpcontent/uploads/2025/02/%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-GEO-10.pdf>
- Nik'oleishvili, A. (1995). P'aolo Iashvili, tskhovreba da shemokmedeba, [Paolo Iashvili, Life and Creativity]. Kutaisi: "sats'utro".
- Tbiliseli, M. (1951a). Didi k'atsi, [Big Man]. Mamuli, 2, 57-61.
- Tbiliseli, M. (1951b). Geurkas amabvi, [George's Family]. Mamuli, 3, 89-92.
- biliseli, m. (1952). Sak'ani nomeri 19, [Cell Number 19].Mamuli, 5, 143-148.
- Tbiliseli, M. (1953). Sak'ani nomeri 19, [Cell Number 19]. Mamuli, 6, 184-193.
- Tushurashvili, O., Jakhua, I. (2013). XX sauk'unis sakartvelos shinagan sakmeta da ushishroebis minist'rebi. [Ministers of Internal Affairs and Security of Georgia in the 20th Century]. Tbilisi: shinagan sakmeta saminist'ros arkivi.
- Rogor gaukarts'q'la iluziebi „arkip'elagma gulagma“ evrop'el memartskheneebis“. [How the “Gulag Archipelago” Dispelled the Illusions of European Leftists] (Agvist'o 06, 2008). Modziebulia 19.11.2025.
<https://www.radiotavisupleba.ge/a/1558914.html>